

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება Nსმ/15-104

ქ. ბათუმი

14 აგვისტო 2015 წელი

ერთის მხრივ შპს „სანდასუფთავება“ (შემდგომში „მოიჯარე“) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ასამბაძის სახით და მეორეს მხრივ, საქართველოს მოქალაქე იაკობ ხმალაძე (შემდგომში „მეიჯარე“) შევთანხმდით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მეიჯარე მოიჯარე იჯარით, დროებით, 2015 წლის 31 დეკემბრამდე, სასყიდლიან სარგებლობაში გადასცემს ქალაქ ბათუმში, ზურაბ ბერიძის შესახვევი #4-ში მდებარე 22,2 კვ.მ.-ის სარდაფს.
კლასიფიკატორი – CPV70220000.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. საიჯარო ქირა თვის განმავლობაში შეადგენს 125 (ასოცდახუთი) ლარს.
2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა 625 (ექვსას ოცდახუთი) ლარი.
2.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საშემოსავლო გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მეიჯარესთან ანგარიშსწორება განხორციელდება როგორც ნაღდი ისე უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, მომდევნო თვის 10 რიცხვამდე.
3.2. ხელშეკრულების ვადაზე ადრე გაწყვეტის შემთხვევაში, მეიჯარესთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურან ნასარგებლი დღეების მიხედვით.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. მეიჯარე ვალდებულია დროულად გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარდაფი მოიჯარეს.
4.2. მოიჯარე ვალდებულია დროულად მიიღოს სარდაფი მოახდინოს მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება.
4.3. მოიჯარე ვალდებულია გადაუხადოს მეიჯარეს იჯარი საფასური, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დაცვით.

5. თანმდევი მომსახურება

5.1. თანმდევი მომსახურების ღირებულება შედის ხელშეკრულების ფასში.

6. დაუძლეველი ძალა

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
6.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
6.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

მოიჯარე:

შპს „სანდასუფთავება“

მის: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქუჩა #55

ს/კოდი 245548153

ა/ა GE76VT550000000053402



მეიჯარე:

საქართველოს მოქალაქე იაკობ ხმალაძე

მის: ქ. ბათუმი

პირადი ნომერი 61009002647

ა/ა GE18LB0211120300733000

საქართველოს მოქალაქე

იაკობ ხმალაძე

<p>განაცხადის რეგისტრაციის № <u>882009006871</u> თარიღი <u>14.01.2009</u> <u>დანართი</u></p>	
<p>საკართველო აშინაწერი საჯარო რეგისტრაციის მომსახურების თარიღი <u>02.02.2009</u> ბინის/არასაცხოვრებელი ფართის შესახებ</p>	
<p>ა) საკუთრების განყოფილება</p>	
<p>სარეგისტრაციო ზიანი <u>05</u> (კოდი) დათქმა (განმარტება)</p>	<p>სახელმწიფო / ოჯახი / საკუთარი</p>
<p>სექტორი <u>VIII</u> (ც.საკუთრება) <u>08</u> (კოდი)</p>	<p>სრული / შეზღუდული</p>
<p>კვარტლის № <u>07</u> ნაკვეთის № <u>004</u></p>	<p>პირველადი რეგისტრაცია / ცვლილება</p>
<p>ფართობი (კვ.მ.) <u>914.0</u> (დამუშავებული)</p>	<p>ქ.</p>
<p>მისამართი <u>ს. ბენიძის შესახვევი №4</u></p>	
<p>უფლება <u>საკუთრო საკუთრება</u></p>	<p>ფუნქცია <u>არასასოფლო</u></p>
<p>ბ) მესაკუთრის განყოფილება</p>	
<p>სართული/ ბინის ნომერი</p>	<p>იურიდიული ან ფიზიკური პირი</p>
<p>სარდაფი <u>22.20</u></p>	<p>იაკობ ხმალაძე 61009002647</p>
	<p>უფლების რეგისტრაციის განაცხადის რეგისტრაციის № <u>882009006871</u></p>
	<p>უფლების რეგისტრაციის განაცხადის რეგისტრაციის თარიღი <u>14.01.2009</u></p>
	<p>უფლების რეგისტრაციის თარიღი <u>02.02.2009</u></p>
	<p>უფლების დამატარებელი იურიდიული დოკუმენტი</p>
	<p>ამხანაგობა " მეგობრობა"-ს კრების ოქმი №14 რეგისტრის №1-57 06.01.2009წ. დამოწმებული ნოტარიუს მ. ჯინჭველიძის მიერ.</p>

